საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი კერატიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	15	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	87	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

გიორგი კერატიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - გიორგი კერატიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - გიორგი კერატიშვილის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპოდენტები და რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის ისეთ თვისებებს, როგორიცაა კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა, თავდაჭერილობა, კორექტულობა, გულისხმიერება, კომპეტენტურობა, შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა, მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობა და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და კეთილსინდისიერების კუთხით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი პრინციპული და მიუკერძოებელია. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. შეუვალია სხვადასხვა გავლენების მიმართ, ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა გიორგი კერატიშვილის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიუკერძოებლობის ან განსხვავებული რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, ეთიკური კუთვნილების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს. გიორგი კერატიშვილი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით კანდიდატი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა, კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად, აქვს მეგობრული დამოკიდებულება მოსამართლე კოლეგებთან და მასთან მომუშავე აპარატის თანამშრომლებთან. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - მენეჯმენტის დეპარტამენტის და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის სასამართლოში მხარედ ან დაზარალებულად არ ყოფილა წარმოდგენილი. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

		პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში და უნდა ითქვას, რომ მოსამართლე კოლეგებში და იურიდიულ წრეებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. **ფინანსური ვალდებულების კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი კერატიშვილს აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. არ არსებობს საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი - გიორგი კერატიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	**სამართლის ნორმების კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს რომ გიორგი კერატიშვილს გააჩნია მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობათა, აგრეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის მაღალი დონე. გიორგი კერატიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-10 ჯგუფის მსმენელი და მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს 34-ე ადგილი. გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები ძირითადად იყო სწორი და თანმიმდევრული თუმცა, დაფიქსირდა შეცდომებიც. ასევე მან ვერ გამოავლინა საკონსტიტუციო სამართლის სათანადო ცოდნა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის კუთხით** შეფასებისას კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამი, მის მიერ გამოტანილი, სისხლის სამართლის განაჩენისა და სამეცნიერო პუბლიკაციის გაანალიზების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ განაჩენები დამაჯერებლად დასაბუთებულია, მოსამართლეს ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ აქვს დატოვებული მოდავე მხარეთა მიერ მოყვანილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი

			გარემოებები და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ გარემოებებს ადეკვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას. მოსამართლე საკუთარ პოზიციას ძირითადად ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად. უნდა ითქვას, რომ ტექსტში მსჯელობა ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე არის ლაკონური.
წერის უნარი	15	20	**წერის უნარის კუთხით** შეფასებისას კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი (გრამატიკული) და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად ლაკონური და ლოგიკურია. თუმცა, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში რიგი წინადადებები არის რთულად აღსაქმელი. ასევე არის მცირე გრამატიკული შეცდომებიც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარის კუთხით** შეფასებისას გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ძირითადად გადმოსცემს ადეკვატურად და დამაჯერებლად. თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა ისეთი სახის მსჯელობა, რომელიც იყო ბუნდოვანი და რთულად გასაგები.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ

			კანდიდატი, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. რაც შეეხება კანდიდატის მიერ საპროცესო ვადების დაცვას, მის მიმართ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად მონაცემები შემდეგია: საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100 %. გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100 %. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 98,3%; შეცვლილი -1,7%. საანგარიშო პერიოდში (996 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 9194 საქმე, დღეში საშუალოდ 10 საქმემდე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ გიორგი კერატიშვილი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობას. იგი არის სასემინარო კურსის ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და არის სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი და სამართლებრივი წიგნის თანაავტორი.

პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას აღსანიშნავია, რომ გიორგი კერატიშვილი აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა სახის შეხვედრებსა და სემინარებში. (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) კანდიდატმა კონკურსის ფარგლებში წარმოადგინა სამეცნიერო პუბლიკაცია: „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე" ნაწილი მე-3, თავი მე-5. "გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით"
ქულათა ჯამი	87	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი: 29.05.21